საქართველო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 29 დამატების № 6

კვირა, 7 თებერვალი, 1916 წ.

სოფლად.

ქართველი ტიპი.

აკაკის

და უგანათლებულეს თ-დ **გ. შარვაშიძის** მიწერ-მოწერა.

თ-დ გ. შარვაშიძეს.

შენი ტკბილი საუბარი
მიყვარს, როგორც „ქებათ-ქება“!
შენი ნახვა ნერვებ აშლილს
სამკურნალოდ შეერგება!

—

ეს შენ იცი!... მაგრამ, ძმაო,
ცოტა მოიაფხაზურებ,
ახალ-ახალს რომ მონახავ,
ძველებს აღარც კი უყურებ

—

ეს არ არის მოსაწონი,
გეფიცებით ზენა არსსა!
ნათქვამია: „ნუ დააგდებ
ძველ გზასა და მეგობარსა!“

—

თათარყანი*) ჩამოსულა
მაგრამ ჩემთვის სად მოიცლის,
დღე სძინავს და ღამ-ღამობით
თამაშობს და ყანწებსა სცლის.

—

ჩემთვის სადღა დაურჩება
ან საღამო და ან დილა,
ესეც კია, მეგობრობა
სვანის არსად გაგონილა!

აკაკი წერეთელი.

პასუხი ძვირფას აკაკის.

შენი ტკბილი მგოსნის ენა
რახანია არ მსმენია,
ფუტკარმაცა იცის კბენა,
მაგრამ თაფლის გამჩენია.

—

რაც უნდ მითხრა, მეგობარო,
მე შენს შაგირდს, მაძლევს ლხენას,
რადგან ვიცი, უკეთ ხარო,
მადლსა ვსწირავ ცას და ზენას.

—

მაგრამ შენსა მაღალ ნიჭსა
არ შეფერის უმართლობა;
მოჰყოლიხარ ცოტა ჭორსა,
მოგრევია „იმერლობა“.

—

სვანი ყანწით გადღეგრძელებს,
მე აფხაზი წრფელის გულით,
ვით სცოდნიათ ჩვენსა ძველებს,
ძმობითა და სიყვარულით.

გიორგი მიხაილის ძე

შარვაშიძე.

*
* *

ოჰ, ძლივას, ძლივას ამოვისუნთქე,
გადამეყარა გულიდან სევდა;
ამოვანთხიე ჩემი ნაღველი
და სიხარული დავართე ზედა.

ეჰ გაზაფხულო მოჰკალ ზამთარი
სისხლის წვიმებით სულ ზედი ზედა,
ნახე რავდენი დაჲ, ცოლი სტირს
და უმეტესად გულ-მკვდარი დედა.

შიო მღვიმელი.

მეოცმარი

სასტიკ ბრძოლაში დაკოდილი დაეცა იგი,
ღრმა ჭრილობაზე ღრმა სიმწარით იტაცა ხელი...
ვაი დედაო!—დაიგმინა უკანასკნელად
და ამ ორ სიტყვას თან ამოჰყვა სული ნათელი!

დედა კი ელის, ელის პირმშო საყვარელ შვილსა,
შარა-გზისაკენ მუდმივ მზერით აწყდება თვალი...
ეჰ, ნუღარ უცდი, უბედურო, შენს ჭაბუკ-ვაჟკაცს,
ის უკვე მოჰკლეს... სხვის ბრძოლაში მოჰკლეს საწყალი!..

ია ქართველიშვილი.

*) თათარყანი დადეშქელიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსის ჯარი მდინარეზე გადადის.

მუზა

შენ წადი სადმე და ეს კუთხე მე მოზიცალე,
შენ წადი სადმე, წადი სადმე! მალე... ოჰ, მალე!
შენ წადი სადმე, დღესვე წადი... ხვალ მაინც... ხვალე.

მინდა აქ, ჩემთან ჩემი მუზა შემოვაპარო
და მეკითხება, იცი რასა?—ხომ მარტო ხარო!

რა მეშველება?—როგორც ვხედავ არსად არ წახვალ.
იქნებ გაჰბედო და წახვიდე, დღეს. ხვალ მაინც... ხვალ!

მესაწნახელეს დაავალე, მოგვართვას ღვინო!—
მსურს მუზას ჩვენი სადღეგრძელო დავალევინო
და... მეკითხება: ე მანდ შენთან ვინ არის, ვინო!

ბაბილინა.

თ-დ სვიმონ ალექსანდრეს ძე მაჩაბელი.
გმირულად გარდაიცვალა ბრძოლის ველზე.

პრაპ. დავით ერ. ანთაძე.
ჭრილ. გარ. გერ. საზღვარზე.

ანაქრეონის ოდეგი

გოგონას.

ოდესღაც მეფე ტანტალუსს კლდედ ექცა პირმშო ქალია,
მას აქეთ ცრემლმა დასთხარა ფრიგიის მწვერვალთ თვალია.
პანდიონსაც ხომ ღმერთებმა მერცხლად გარდუქმნეს ასული,
დაბრუნებული ვერ ნახა ერთხელ შორს სადღაც წასული.
შეც ვნატრობ ფერისცვალებას. რა დაგდევ კარის კარადა,
ნეტავ მაგ სარკედ მაქცია, შენ რო ჩაჰყურებ მარადა.
ან და სამოსად გარდამქნა, ტანს რო გიკვალთავს ვარდათა,
ან შადრევანის პირი მქნა, შენს ტანის ჩასაბანათა.
ან რად არ ძალმიძს გარდვიქცე გუნდრუკის სუნნელ კვამლადა,
გაბრუებული ჩაგიკრა ღმერთთა მგზნებარე ალადა.
ოჰ, ეგ მარმაშის მანდილი არ გვშვენის სარო ტანასა,
ჩემს სულს ჩაგაცმევ, შეგამკობ როგორც ყაყაჩო ყანასა.
არც მარგალიტი გიხდება ყარყარა გედის ყელასა,
ცრემლს ყელსაბამად აგისხავ, იგი გერჩივნოს ყველასა.
არა გსურს? აჰა ღმერთებს ვთხოვ ქცეული ცრემლის თასადა,
გარდამქნან შენი ერთ-ერთი ფეხის ქალამან-თასმადა,
რომ სუროსავით მოგევლო, მსრესდე, მთელავდე მარადა,
მაგრამ ტკივილი მიმაჩნდეს ჩემს ნეტარების ფარადა.

———

მისი თვალები.

შენ მღერი თებელ გმირთა ჰიმნს, ფრიგიელთ ბრძოლის ამბებსა,
მე კი დავმღერი შავბედსა ცრემლის გუბეში ნაღებსა.
ნუ ჰგონებ დამმარცხებელი იყოს მხედარი გმირია,
ან ზღვით მომხტარი უცხო ყრმა გულ-მკერდის გამგმირავია,
არა, სულ სხვაა, უცხოა მის შვილდი, ცეცხლის ალები:
ქალია, ქალი ეს გმირი, ფარ-შუბი—მისი თვალები.

Candide.

მწყემსი დედოფალი

ოსმალურიდან გადმოკეთებული ზღაპარი*)

ნახევარ საათის შემდეგ მოვიდა ქალის მამა, რასაკვირველია ბებერმა დაწვრილებით მოახსენა ყველა. მდიდარმა მოისმინა ბებრის ნათქვამი, და ბოლოს უთხრა:

— აბა, ერთი მომგვარეთ თქვენი შვილი, ვნახო როგორი ვინმეაო.

საჩქაროდ წავიდა ბებერი, მოჰგვარა შვილი და წინ დაუყენა მდიდარს. ტანისამოს დაგლეჯილი, ხელ-პირი ჭუჭყიანი—მზისაგან გაშავებული, ფეხები ტალახში ამოსვრილი, სიცივისა და შიმშილისაგან მობუზული და ცალკე ქალის სიყვარულისაგან გადარეული—აი ამ სახით იდგა ღატაკი მდიდრის წინაშე.

— შენ, შვილო! უთხრა მდიდარმა,—როგორც გეტყობა შენ შენი თავისთვის ვერ მოგივლია და ვერ შეგინახია, ქალს-კი თხოულობ! მითხარ, რითი უნდა შეინახო ცოლი? შენ, გეტყობა, ამაზედ სულაც არ გიფიქრია. არ იცი, რომ „ცოლსა დიდი ცომი **უნდა, ასი ლიტრა** საფანელიო“. ვთქვათ, მოგეცი ჩემი ქალი, მაშინ დღეში ორი-სამი მანეთიც არ გეყოფა და შენ-კი ახლა ორ-სამ აბაზსაც ძლივს იშოვი.

— რა ვქნა ბატონო! სისაწყლე ჩემი გამოგონილი არ არის, ხომ ხედავთ, ჯანსაღი ვარ თვალთ არ მაკლია და ხელ-ფეხს, სცადეთ მომანდეთ რამ საქმე და მაშინ გაიგებთ, მქონია შნო თუ არაო, მიუჯო წყლის მზიდველმა.

— მაშ, კეთილი უთხრა მდიდარმა, ერთ საქმეს მოგანდობ ტ სხვა ქვეყანაში გაგზავნი, იკისრებ შესრულებას თუ არა?

*) იხ. „საქართვ.“ დამატება № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოსმალები გზას სდარაჯობენ.

ბრძოლის სურათი.

— ჯოჯოხეთშიაც რომ გამგზავნოთ, იქ წასვლასაც არ დაგზარდებით. მხოლოდ ფულია საქმე, ის არის ყველაფრის მასწავლებელი, გზის მაჩვენებელი და საქმის ამასრულებელი.

— მაშ კარგი—, ჰსთქვა მდიდარმა, ამოიღო ტ ორმოცი თუმანი მისცა, რომ რაც საჭიროება მოითხოვდა სამგზავროთ ეყიდნა: ტანისამოსი, ცხენი და გზისათვის საგძალი. როცა ყველაფერი იყიდა, მივიდა მდიდართან. იმან სხვა ორმოცი თუმანი კიდევ მისცა და უთხრა:

— წადი ქართოშ ქალაქში და გამიგე, თუ ის ბრმა გლახა ყოველ დილით რვა საათზე რათ მიდის და დგება დანიშნულ საყდრის ბჭესთან, თხოულობს და შემდეგ როცა საკმაო ფულს შეაგროვებს გამვლელ-გამომვლელებს ეხვეწება, რომ ყველამ თითო სილა დაარტყას, იმ ნაშოვნ ფულს სილის დამრტყმელებს ურიგებს და თან ამბობს:

— „ახია ჩემზედ, ახია ეს სილები და კიდევ ცოტაც არისო“, როცა გულს იჯერებს, შინ ბრუნდება. როცა ამ ამბის მიზეზს გაიგებ და მოხვალ მეტყვი, მაშინ მოგათხოვებ ჩემს ქალს და ჩემი ქონებაც თქვენი იქნება,—დაათავა ამით სიტყვა მდიდარმა. ყმაწვილი დასთანხმდა, გამოემშვიდობა და გაუდგა გზას.

ერთის თვის შემდეგ მივიდა ქართოშ ქალაქში, ცხენი ბაქებში დაბა და თითონ ერთ ყავახანაში შევიდა და დაჯდა. იქ მყოფთ რა ნახეს უცხოელი, მიულოცეს მშვიდობით მისვლა. სხვათა შორის ბიჭმა მათ ჰკითხა:

— ამ ქალაქში არის ამ გვარი ბრმა გლახაო?

— არის, ხვალ დილით 8 საათზე მოვა და აი პირდაპირ იმ საყდართან დადგებაო,—უპასუხეს მოსაუბრეებმა.

დილით რვა საათზე ბიჭმა მართლა ნახა, რომ ერთი ბრმა გლახა ჯოხის ფაცა-ფუცით მივიდა საყდრის ბჭესთან, დადგა, ჯერ დაიწყო მოწყალობის მოთხოვა და როცა რომ შეაგროვა, შემდეგ დაიწყო ასე ვედრება:

— ვისაც ღმერთი სწამს ერთი სილა შემომკრას.

გამვლელ-გამომვლელებიც ჩვეულებისამებრ თითო სილას არტყამდნენ და მიდიოდნენ, გლახა ამბობდა:

— „ახია ჩემზე, დეე ეს ჩემთვის სწავლა და დარიგება იყოს და სხვებისათვის-კი მაგალითიო“, და ნაშოვნ ფულს ურიგებდა ხალხსა, როცა ფული გამოელეოდა წავიდოდა საყდრიდან.

ბიჭი ნელ-ნელა უკან დაედევნა. როცა გლახა თავის ოთახის კარს აღებდა, ფეხის ხმა მიესმა და ჰკითხა:

— ვინა ხარო?

— მამაო, შორი გზიდანა ვარ მოსული, თუ შეიძლება ერთი ღამე სტუმრად მიმიღე, რადგან აქ არავის ვიცნობო,—მიუგო ბიჭმა.

— მობრძანდი, ძმაო, სტუმარი ღვთისა არისო, უთხრა ბრმა გლახამ.

ბიჭი შეჰყვა გლახას. დასხდნენ, იბაასეს, ბოლოს ჰკითხა ბრმა გლახამ:

— საიდან მოსულხარ? რა საქმისათვის გარჯილხარ?

— მე შორიდანა ვარ მოსული, დიდი შეწუხება გამოვიარე გზაზე, საკმაო ფული დამიხარჯია, თქვენი გულისათვის. იმედია, დაწვრილებით მეტყვით თქვენს ამბავს, რომ მეც ჩემს ბატონს მოვახსენო. ნათხოვარ ფულს სილის დამრტყმელებს რად ურიგებ ხოლმეო.

— ეჰ, შვილო, ნაღველი ჩემი დიდია და ადვილად ვერავის ვეტყვი; თუ ძალიანა გსურს ჩემი ამბის შეტყობა, ჯერ კაზლაკ ქალაქში წადი, რომელიც აქედან ერთი თვის სავალზეა. იქ შარმეს სახელით ერთი მოსარეცხე ცხოვრობს, რომელიც ყოველ დღე თაბახს დაიდგამს სარეცხის გასარეცხად ერთ კოშკის პირდაპირ, შეხედავს იმ კოშკს და დაიძახებს ხოლმე:

„აგერ მოვიდა, აგერ მოვიდაო“! შემდეგ დასტოვებს სარეცხს, ავა იმ კოშკზე და კიდევ ძირს ჩამოვა; ერთი სიტყვით, იმ კოშკზე ასვლით და ჩამოსვლით მთელ დღეში ძლივს ერთორ ნაჭრის გარეცხას ასწრობს. ჯერ იქ წადი, იმ მოსარეცხის ამბავი და ნაღველი გამიგე, მერე რომ მოხვალ, მაშინ მეც ჩემ ამბავს დაწვრილებით გეტყვიო,—უპასუხა გლახამ.

სხვა გზა აღარა ჰქონდა ბიჭსა; მეორე დილით გამომშვიდობა და გაუდგა გზასა. ერთ თვეზედ მივიდა კაზლაკ ქალაქში. კითხვის კითხვით როგორც იყო მიაგნო მოსარეცხეს. ნახა, რომ იმას არც სალაპარაკოდ ეცალა, არც თეთრეულის დასარეცხად; მთელ დროს კოშკზე ასვლა-ჩამოსვლას ანდომებდა და თან გაიძახოდა:

„აგერ მოვიდა, აგერ მოვიდაო“.

ბიჭი შორი ახლოს იდგა და გაშტერებული უყურებდა, უკვირდა იმისი ქცევა და თავის გუნებაში ამბობდა; „რასაც ეს ადამიანი სჩადის, სულელიც არ ჩაიდენსო“. მერმე ბიჭმა ცხენი აღვირით ერთ ხეზედ მიაბა და თითონ იქ ახლო ერთ ყავახანაში შევიდა. სხვათა შორის ჰკითხავდა იქ მყოფთ, როგორ მოვახერხო იმასთან ლაპარაკი.

— დღისით იმასთან დალაპარაკება შეუძლებელია, დუქნის დაკეტვის ლრო რომ მოვა, მაშინ შეგიძლიან ელაპარაკოვო,—უთხრეს სხვებმა.

საღამოზე ნახა ბიჭმა, რომ დუქანსა ჰკეტავდა, საჩქაროდ მივიდა, სალამის შემდეგ უთხრა თავის მგზავრობის მიზეზი და სთხოვა, რომ ეთქვა თავის ამბავი, მაგრამ ამაოდ. აქაც ბედმა უმტყუნა და იმედი გაუცრუვდა. მესარეცხისაგან შემდეგი პასუხი მიიღო:

— მხოლოდ მაშინ გეტყვი ჩემს ამბავს, თუ შენც ერთ ვაჭრის ამბავს გამიგებ, მოხვალ და მიამბობო.

— რომელ ვაჭრის ამბავსაო? გულდაწყვეტით ჰკითხა ყმაწვილმა კაცმა.

— აქედან თვე ნახევრის სავალ გზაზე, შიშლეკ ქალაქია, იქ თურფას სახელით ერთი ვაჭარი სცხოვრობს, ის სამი-ოთხი წლით წავა ხოლმე სხვა ქვეყნებში სავაჭროდ, როცა დაბრუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება სახლის ახლოს სასაფლაო არის, იმ სასაფლაოს ორ საფლავის ქვაზე იმდენ ხანს ახლის თავსა და ტანსა, ვიდრე კარგად დაიჟეჟდეს და დაიჩეჩქვდეს. შემდეგ დასდებენ საკაცეზედ და შინ წაიღებენ, თავის ვაჭრობაში მოგებულ ფულს მკურნალებს და წამლებში დახარჯავს და როცა კარგად გახდება, კვლავ წავა სავაჭროდ. ასე ამ გვარად ატარებს თავის სიცოცხლეს. შენ უნდა შემიტყო, რისთვის სჩადის ამას ვაჭარიო.

მეწყლეს არ ეგონა თუ ამდენ სხვა და სხვა ქალაქებში მოუხდებოდა ტანტალი, მაგრამ რა გაეწყობოდა, ნებაუნებლიედ უნდა წასულიყო. გამოემშვიდობა მესარეცხეს და გაუდგა თავის გზასა, რამდენსამე კვირის სიარულის შემდეგ მივიდა შიშლეკ კალაქში, თურფას ვაჭრის სახლი იპოვა, შევიდა და იკითხა:

— სად არის თურფას ვაჭარიო?

— სავაჭროდ არის წასული სხვა ქვეყანაშიო,—უპასუხა მეორე ცოლმა.

— მე მითხრეს, როცა სავაჭროდ მიდის სამ-ოთხ წელიწადს იგვიანებსო, იმის დაბრუნებამდის კიდევ რამდენი ხანი დარჩენილაო.

— სამი წელიწადი-კი შესრულებულია; მხოლოდ როდის მოვა, იმისას ვერას გეტყვითო.

ამ პასუხმა ბიჭს გული ნაღვლით აუვსო, თავის თავად დაიწყო ბუტბუტი და ამბობდა:

„ეს რა ხათაბალაში ჩავვარდი! ეს რა ცეცხლია, ერთმა მეორესთან გამაგზავნა, მეორემ მესამესთან და ახლა იქნება ამანაც შორს სადმე გამგზავნოს. მივანებო თავი ამბის შეტყობას და ისე დავბრუნდე, მაშინ ის მდიდარი კაცი თავის ქალს აღარ მომათხოვებს, ჩემი მასთან სიტრაბახე მევე შემრჩება სირცხვილადო. ბევრი იყოყმანა და ბოლოს გადასწყვიტა, რომ მოეცადა სანამ თურფასი დაბრუნდებოდა. თითქმის სამს თვემდის იცადა. ერთ დღეს ბიჭმა ნახა, რომ აჩოჩქოლებული ხალხი სასაფლაოსკენ მიეშურებოდა. ეს ბიჭიც თან გაჰყვა იმათ, ის კი არ იცოდა, რა ამბავი იყო, იქ ნახა რომ საკაცე მოემზადებინათ და ხალხი ერთმანეთს ეუბნებოდა:

„აი ახლა მოვაო, აი ახლა მოვაო“.

— ვინ მოდის? ვის ელის ეს ხალხი? იკითხა ბიჭმა.

— თურფას ვაჭარსაო,—მიუგო ხალხმა.

ალ. იაკ. ახალციხელი.

(შემდეგი იქნება)

ოსმალეთი და ბულგარეთი.

ბულგარეთი. მსოფლიოს მბრძანებლად გაგხდი!

ოსმალეთი. მჯერა, მხოლოდ ეგ ცხვირი ჩემს ტერიტორიას ააცილე!

— ეხლა ჯერი იმათზე მიდგა! ხა, ხა, ხა!
— ისინიც იქ ჩაამწყვდიეს... ხა, ხა, ხა!
— ქურდები მარტო ჩვენ არ ვყოფილვართ...
— რა ამხანაგები გვყოლია, წამო თითო
გადავკრათ! (მღერიან)
შე მასხარავ, რა მუშტს მიქნევ
რას დამაკლებს ეგ მუქარა?
ვაშა იმას, ვინც საწყალ ხალხს
ან წაართვა, ან მოჰპარა.

ტრამვაიადა





ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან

რედაქტორ გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**